ოქმი:**ო02. 3726173001**
თარიღი:**22/06/2026**

ოქმი №11

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

2026 წელი, 19 ივნისი

ქ.ოზურგეთი

14:30-15:00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით ჭაკნელიძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე
ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ნ. ურუშაძე, ნ. გობრონიძე, ლ. კილაძე, გ. გაბისიანი, ტ. აროშიძე, დ. კიკვაძე, პ. კიღურაძე, ნ. ჭანიშვილი, მ. ცქვიტიშვილი, დ. ხურციძე, ზ. მორჩილაძე, ე. გორდელაძე, ლ. ქვილორია.
სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

თანამომხსენებელი: თამაზ ჩავლეშვილი

2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წაარმოდგენილი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სტიქიის პრევენციის მიზნით, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან განსახორციელებელი და დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

თანამომხსენებელი: თამაზ ჩავლეშვილი

სხდომის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო დღის წესრიგის პირველი საკითხი, მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წაროდგენილი განკარგულების პროექტი, რომელიც ეხებოდა ოზურგეთის მუნიცპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას, ხოლო თანამომხსენებლმა თ. ჩავლეშვილმა კომისიის წვრებს განუცხადა, რომ საქართველოს

კანონმდებლობაში შესული ცვლილებების შესაბამისად, მიმდინარე წლის 01 ივნისიდან ყველა ინფრასტრუქტურულ პროექტს უნდა ჩაუტარდეს განახლებული ექსპერტიზა, ამდენად მუნიციპალიტეტის მერიამ საკრებულოს მიმართა თხოვნით აღნიშნული საკითხი მოიხსნას განხილვიდან და განხილულ იქნას ექსპერტიზის განახლების შემდეგ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს ამ წინადადებას.

სხდომის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო დღის წესრიგის მეორე საკითხი, მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წაროდგენილი განკარგულების პროექტი, რომელიც ეხებოდა ოზურგეთის მუნიცპალიტეტში სტიქიის პრევენციის მიზნით ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას,ხოლო თანამომხსენებლმა თ. ჩავლეშვილმა კომისიის წვრებს განუცხადა, რომ საქართველოს კანონმდებლობაში შესული ცვლილებების შესაბამისად, მიმდინარე წლის 01 ივნისიდან ყველა ინფრასტრუქტურულ პროექტს უნდა ჩაუტარდეს განახლებული ექსპერტიზა, ამდენად მუნიციპალიტეტის მერიამ საკრებულოს მიმართა თხოვნით აღნიშნული საკითხი მოიხსნას განხილვიდან და განხილულ იქნას ექსპერტიზის განახლების შემდეგ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს ამ წინადადებას.

გადაწყვიტეს:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი ორივე განკარგულების პროექტი საქართველოს კანონმდებლობაში შესული ცვლილების შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერიის მომართვის საფუძველზე, მოიხსნას განხილვიდან.

დავით ჭაკნელიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი